თავისუფალი ვაჭრობა ბიზნესის ხელშეწყობის მთავარი ფაქტორი

ნინო მაზიაშვილი

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უზრუნველყოფს მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის რეალურად ჩართვას და გვესახება ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის გადალახვის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოებრივი პოტენციალის თანამედროვე დონეზე გადაყვანის მნიშვნელოვან ფაქტორად. უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება. განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა. უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, რათა კაპიტალის მოზიდვით მიღებული იქნეს მაქსიმალურად დადებითი შედეგები.

ინვესტიციების რისკების შემფასებელმა ბრიტანულმა კომპანია „Maplecroft-მა“ გამოაქვეყნა, კვლევა „Political Risk Atlas- 2011“, რომელშიც შესწავლილია 196 ქვეყანაში ინვესტიციების რისკების ინდექსი. კვლევა გულისხმობს ქვეყნების შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კონფლიქტები, ტერორიზმი, კანონის უზენაესობა, რეგულაციები, ბიზნესგარემო, რესურსების უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, კლიმატის ცვლილებები, ინფრასტრუქტურის მზაობა, განათლება, სიღარიბე და სხვა. რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნები, ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით დაიყო შემდეგ კატეგორიებად: უკიდურესი რისკი; მაღალი რისკი; საშუალო რისკი; დაბალი რისკი. ანგარიშის მიხედვით, საქართველო საშუალო რისკის ქვეყნების ჯგუფში მოხვდა. ყველაზე სარისკო ჯგუფში მოხვდნენ ირანი, სუდანი, ბელარუსი, გვინეა-ბისაო, თურქმენეთი და ვიეტნამი, მაღალი რისკის ჯგუფში - რუსეთი და ინდოეთი. ყველაზე დაბალი რისკის ქვეყნებად აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, იაპონია და სკანდინავიის სახელმწიფოები დასახელდნენ.

საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად, მოლაპარაკებების შესაძლებლობა, აშშ-ის პრეზიდენტმა 30 იანვარს, ვაშინგტონში ქართველ კოლეგასთან შეხვედრისას დაადასტურა. „ჩვენ შევთანხმდით მაღალი დონის დიალოგზე ორ ქვეყანას შორის იმის თაობაზე, თუ როგორ გავაძლიეროთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, შესაძლო თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების კუთხით“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნას, ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებებს ითვალისწინებს. ამჟამად, ასეთი რეჟიმი აშშ-ს 17 ქვეყანასთან აქვს დაწესებული. ორმხრივი შეთანხმებები მიღწეულია: ავსტრალიასთან, ბაჰრეინთან, ჩილესთან, ისრაელთან, იორდანიასთან, მაროკოსთან, ომანთან, პერუსა და სინგაპურთან. გარდა ამისა, მოქმედებს რეგიონული შეთანხმებები (NAFTA) აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის;

პირველი დოკუმენტი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აშშ-მ ისრაელთან, ჯერ კიდევ 1985 წელს გააფორმა. ამის შედეგად, მომდევნო წლებში აშშ ისრაელის მთავარ საექსპორტო ბაზრად იქცა. 90-იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყანაში ეკონომიკური ბუმი დაიწყო – წარმოების ზრდამ წელიწადში საშუალოდ 7 პროცენტს, სამრეწველო ექსპორტის ზრდამ კი, 9 პროცენტს მიაღწია.

NAFTA-ს შეთანხმება აშშ-ს, მექსიკასა და კანადას შორის ძალაში 1994 წლიდან შევიდა. ამით მსოფლიოში უდიდეს თავისუფალ სავაჭრო ზონას ჩაეყარა საფუძველი. ექსპერტთა შეფასებით, ბაზრების გახსნამ სამივე ქვეყანაში ეკონომიკისა და კეთილდღეობის ზრდა გამოიწვია. 1993 წლიდან 2010 წლამდე ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 218 პროცენტით გაიზარდა. NAFTA-ს კომისიის შეფასებით, დოკუმენტის ძალაში შესვლიდან პირველ ხუთ წელიწადში, ექსპორტის ზრდის ხარჯზე, აშშ-ში 14,8 მილიონი დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა, მექსიკაში – 2,2, კანადაში – 1,3 მილიონი. მექსიკამ NAFTA-ს წყალობით მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა შეძლო. ბევრმა უცხოურმა კომპანიამ, აშშ-ის ბაზრის ხელმისაწვდომობის გამო, წარმოება ამ ქვეყანაში გადმოიტანა. 1993-99 წლებში, მექსიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაორმაგდა.

გასული წლის ოქტომბერში აშშ-ის კონგრესმა FTA-ს რატიფიცირება სამხრეთ კორეასთან, კოლუმბიასა და პანამასთანაც მოახდინა. ამ დოკუმენტებს ხელი ჯერ კიდევ 2007 წელს, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს მოეწერა. თუმცა, თავდაპირველად მათი რატიფიცირება დემოკრატების წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი, კორეული ექსპორტის (ძირითადად, ავტომანქანების) მოსალოდნელი ზრდის გამო, ამერიკული კომპანიების შესაძლო ზარალმა შეაშფოთა.

გასული წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ ვაშინგტონი მზადაა, ევროკავშირთან სავაჭრო ბარი-

ერების მოხსნისა და ორმხრივი ვაჭრობის გააქტიურების საკითხზე დაიწყოს მუშაობა. ბარაკ ობამას მრჩევლის უსაფრთხოების საკითხებში, მაიკლ ფრომანის განცხადებით, დიალოგი შეიძლება რამდენიმე სცენარით წარიმართოს – მათ შორის აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სრულფასოვანი შეთანხმების გაფორმების მიმართულებით.

აშშ-ში კორეასთან, პანამასა და კოლუმბიასთან თავისუფალ ვაჭრობას პროფკავშირები ეწინააღმდეგებოდნენ. ორგანიზაციების მოსაზრებით, შეთანხმებები ამერიკას სამუშაო ადგილების დაკარგვით ემუქრებოდა. საპროტესტო აქციები და გაფიცვები 2006 წელს კოსტა-რიკაშიც მიმდინარეობდა. პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ FTA-თი მხოლოდ აშშ მოიგებდა, ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნები კი ამერიკულ ექსპორტზე გახდებოდნენ დამოკიდებული. საბოლოოდ, 2007 წლის ოქტომბერში შეთანხმების რატიფიკაციას რეფერენდუმზე ქვეყნის მოსახლეობის 52 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

დღეს საქართველოს აშშ-სთან ვაჭრობის ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმი აქვს – GSP. ეს რეჟიმი 3 ათასზე მეტი დასახელების ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე ვრცელდება. GSP რეჟიმი მუდმივმოქმედი არ არის და პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება. მასთან შედარებით, თავისუფალ ვაჭრობას ის უპირატესობა აქვს, რომ თითქმის ყველა დასახელების საქონელს შეეხება. გარდა ამისა, ეს რეჟიმი მუდმივია, რასაც ინვესტორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 2011 წლის მონაცემებით, აშშ ვაჭრობის მოცულობით საქართველოს მეშვიდე სავაჭრო პარტნიორია. საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში 143 მილიონი დოლარი შეადგინა. საექსპორტო საქონლის უდიდესი წილი GSP-ის შეღავათებით სარგებლობს. ძირითადად, ეს ფეროშენადნობები და სასუქებია. წარმოდგენილია ღვინოები, ხილის წვენები, ჯართი და ა.შ. აშშ-დან საქართველოში 245 მილიონი დოლარის იმპორტი შემოვიდა, სადაც წამყვანი ადგილი ავტომანქანებს და ხორცპროდუქტებს უკავია.

ამერიკული იმპორტისთვის ბარიერები საქართველოში ამჟამადაც უმნიშვნელოა. შესაბამისად, აქტუალური არ არის ის საფრთხეები და შეშფოთება, რაც სხვა სახელმწიფოებში FTA-ის გაფორმებას ახლავს, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ამერიკული ექსპორტისთვის ისედაც ღიაა. დღეისთვის კონკრეტული დარგების გამოყოფა, რომლებისთვისაც შეთანხმების გაფორმება ყველაზე მომგებიანი იქნება, რთულია. ამით შეიძლება, ნებისმიერმა ბიზნესმა ისარგებლოს. ახალი სავაჭრო შეღავათების წყალობით, ინვესტორები შესაძლოა ისეთი პროდუქციის კეთებით დაინტერესდნენ, რაც აქამდე საქართველოში არ იწარმოებოდა.

აშშ-ის გამოცდილებით, FTA-ზე მოლაპარაკებების დაწყებიდან შეთანხმების რატიფიკაციასა და ძალაში შესვლამდე შუალედი, ძირითადად, ორიდან ოთხ წელს მოიცავს. დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ კი სავაჭრო ტარიფების დაწევა და საბოლოო გაუქმება წლების განმავლობაშია გაწერილი. ამისთვის შესაძლოა 10-15 წელიც იყოს გათვალისწინებული.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ქვეყნები აფორმებენ მნიშვნელოვან პარტნიორებთან, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისით. ევროპის ქვეყნებთან და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან, ცენტრალური აზიის ჩათვლით, აშშ-ს ასეთი შეთანხმება დღესდღეობით გაფორმებული არავისთან აქვს. აქედან გამომდინარე, ამ ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკისა და ექსპორტის ზრდის, ასევე ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის, იმიჯისა და სტაბილურობის თვალსაზრისით...საქართველოს შანსი აქვს, თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს ერთდროულად აშშ-სთან და ევროკავშირთან მიაღწიოს. ამჟამად, ასეთი სტატუსი მხოლოდ ისრაელს გააჩნია.

საქართველო შტატების 113-ე სავაჭრო პარტნიორია. 2010 წელს საქართველოს იმპორტის დაბეგვრით აშშ-მა სულ 226 ათასი დოლარი მიიღო. შესაბამისად, FTA-ის გაფორმება ფინანსურად აშშ-ს ვერ დააზარალებს. სამაგიეროდ, ეს საქართველოსთვის სასარგებლოა, რადგან ქვეყანა ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდება. საინვესტიციო გარემოსათვის აუცილებელი პირობებია: პროგნოზირებადი გარემოს შექმნა და ოპტიმისტური მოლოდინები.

საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ამერიკის პარალელურად ევროკავშირთანაც უნდა დაიწყოს. „ჩვენ განვიხილეთ, როგორ შეიძლება, გაგრძელდეს ორი ქვეყნის ურთიერთობა, მათ შორის, ეკონომიკური კუთხით. საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა თავისუფალი ბაზრის შესაქმნელად. გვსურს გავზარდოთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობა. ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და მთავარია, ეს მომგებიანი იყოს ორივე ქვეყნისათვის. უნდა განვითარდეს ბიზნესი და ბაზრებზე ერთმანეთის საქონელი და მომსახურება გავყიდოთ", – განაცხადა ბარაკ ობამამ საქართველოს პრეზიდენტთან ოფიციალურ შეხვედრაზე.

ხელისუფლების განმარტებით, პერსპექტივაში საქართველო შეიძლება სავაჭრო ცენტრად წარმოვიდგინოთ, რომელიც აზიასა და ევროპას, აზიასა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბდება და, სადაც ბევრ კომპანიას შეეძლება ინვესტიციები განახორციელოს.

ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს ეკონომიკის განვითარების კუთხით დადებითი მოვლენა იქნება, თუმცა ეკონომიკის ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შორეული პერსპექტივაა და ამისათვის ბევრი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევს საქართველოს. როგორც „სასურსათო ექსპერტთა ასოციაციაში“ აცხადებენ, ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად საქართველოში სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. **„ბოლო წლებში ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კუთხით ბევრი გაკეთდა, თუმცა საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციამდე ჯერ კიდევ შორსაა. ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, ამერიკასთან და ევროკაშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად მოთხოვნები იდენტურია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული,“** - აცხადებენ ასოციაციაში.

საქართველოში პრობლემად რჩება საბაჟოზე სურსათის კონტროლის მექანიზმის არარსებობა, რაც ქვეყანას ფალსიფიცირებული პროდუქციისგან დაიცავდა. ეკონომიკის ექსპერტის დავით ნარმანიას შეფასებით, აშშ-სთან თავისუფალ ვაჭრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ ეროვნული წარმოება გაიზრდება. **„აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება, რადგან დღეისათვის საქართველოში ეროვნული წარმოება განვითარებული არ არის. საექსპორტო პროდუქციის არარსებობის გარეშე კი, ამ შეთანხმებისგან სარგებელს ვერ მივიღებთ“,** - განაცხადა ნარმანიამ.

აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედება საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იქნება, თუ მას ქვეყანა გონივრულად გამოიყენებს., ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო და აშშ ერთმანეთის ბაზარს საკუთარ პროდუქციას მიაწვდიან.

“ამერიკას იაფი მაღალტექნოლოგიური საქონელი უნდა მიაწოდო. ჩვენ ჩინეთის ბაზარი უფრო მაღალხარისხოვანი პროდუქციით უნდა შევცვალოთ, რისი საშუალებაც არის. ჩვენთანაც იწყობა კომპიუტერები, ჩვენთანაც არის ნოუ-ჰაუები, მაღალი ტექნოლოგიები, თუნდაც, პოლიციაში და ა.შ. და ამის ექსპორტი არის საჭირო. რისი შესაძლებლობებიც არსებობს, იმის სულ მცირე, 80 პროცენტი მაინც უნდა იყოს გამოყენებული, — აღნიშნა ალექსანდრე თვალჭრელიძემ. — **ჩვენ რეექსპორტის გაკეთება არ შეგვიძლია. თუ ამერიკული საქონელი შემოვა ჩვენთან და ჩვენი არ გავა ამერიკაში, ძალიან ცუდი იქნება. ასეთი რამის მოხდენა კი შესაძლებელია”..**

მიუხედავად იმისა, რომ აშშ არის საკმაოდ მდიდარი და მნიშვნელოვანი ბაზარი, საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკების დროს ფრთხილად უნდა იყოს, რადგან არ მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეზღუდვა და ხელშეკრულებაში ჩვენთვის საზიანო მუხლები არ ჩაიდოს.ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე შესვლა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ რიგი შეზღუდვებიც არსებობს, რის გამოც აშშ-ის ბაზარზე შესვლის უფლებას მარტივად ვერ მივიღებთ: **„აშშ-ის ბაზარზე შესვლის უფლებას მარტივად ვერ მივიღებთ. აშშ აკრიტიკებს ჩვენს შრომის კანონმდებლობას და ითხოვს, რომ ის დაქირავებულზე იყოს მორგებული. ამ საკითხზე თუ მოხდა შეთანხმება, პირობის შესრულებას მოგვთხოვენ და ვხედავ საფრთხეს, რომ დამქირავებლებს, იგივე ბიზნესებს, აშშ-ის ბაზარზე შესვლის სურვილი აღარ ექნებათ.“**

გარდა ამისა, ქართული პროდუქციის უსაფრთხოების საკითხიც დგება. ევროკავშირი ამ მიმართულებით საკმაოდ მკაცრ დირექტივებს აყენებს. კერძოდ, ამ ბაზარზე შესასვლელად ქართულმა პროდუქტმა შესაბამისი ლაბორატორიული შემოწმება უნდა გაიაროს. **„ასეთი ძვირადღირებული და მაღალი სტანდარტის ლაბორატორიები ჩვენ არ გვაქვს. ევროკავშირი ითხოვს, რომ ამისთვის ფული საქართველოს მთავრობამ უნდა დახარჯოს. ალბათ, ამ მოთხოვნას დააყენებს აშშ-იც. თუ უნდათ, რომ მათ ბაზარზე უსაფრთხო ქართული პროდუქტი შევიდეს, ეს რეფორმა თავად დააფინანსონ,“** - ამბობს გ. ჯანდიერი.

როგორც ვხედავთ, ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის იმპორტი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისთვის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი იქნება, თუმცა რჩება ბევრი დეტალი, რომლის არშესრულების შემთხვევაში, საქართველოსთან აღნიშნული ხელშეკრულების დადება არ მოხდება. ამ ნიუანსის მიუხედავად, დიდია იმის პერსპექტივა, რომ საქართველოთი მეზობელი ქვეყნების ბიზნესელიტა დაინტერესდეს. მექანიზმი მარტივია: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. ამიტომ ევროკავშირთან და ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არა იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ექსპორტი გაგვაჩნია, არამედ, უფრო იმისთვისაც, რომ ევროპულ კომპანიებს გაუჩნდებათ სურვილი, საქართველოში გახსნან თავიანთი საწარმოები,

რადგან აქ არის ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა ბიზნესისათვის, იაფი მუშახელი და შესაძლებელია ექსპორტი საბაჟო ტარიფების გარეშე, ესე იგი, აქ შექმნილ ნაწარმს ევროკავშირის ქვეყნებში და ამერიკაში დაბეგვრის გარეშე გაიტანენ. ეს ნიშნავს, რომ შეიქმნება ხელსაყრელი სიტუაცია ინვესტირების გასაფართოებლად.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, 2010 წელს საქართველომ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების თაობაზე. ეს შეთანხმება მოიცავს საკმაოდ ფართო სპექტრს, როგორც პოლიტიკური და უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკურ და სხვა სექტორალურ საკითხებს. ასოცირებაზე შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნასაც გულისხმობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. საქართველო ორი წელია ამ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობს.

ექსპერტების განმარტებით, ევროკავშირში არ არის მოლოდინი, რომ საქართველო, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, მთლიანად გადაიღებს ევროკავშირის 20 000-გვერდიან კანონმდებლობას და, საერთოდ, თითოეულმა ქვეყანამ ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს, რამდენად გაიზიარებს ევროპულ ოჯახში მოქმედ წესებს. თუმცა არსებობს ერთი აუცილებელი ვალდებულება: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირმა ყველა ქვეყანას მოსთხოვა იმ სტანდარტების სრული დაკმაყოფილება, რომლებიც ევროპული ბაზრების ხელმისაწვდომობის საკითხს უკავშირდება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ პროდუქტმა ევროპულ ბაზარზე შეაღწიოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ტექნიკურ ნორმას. ამ ვალდებულების შესრულება ხელს შეუწყობს პოტენციური ინვესტორების მოზიდვას ამა თუ იმ ქვეყანაში. თავისუფალი ვაჭრობა ეს არის ქართული პროდუქციის, კაპიტალის, სერვისების თავისუფლება ევროკავშირის და ამერიკის ბაზრებზე და პირიქით, მათი შემოსვლა ჩვენს ბაზარზე. მთლიანობაში ქვეყანა მოქნილ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელიც წამახალისებელ ღონისძიებეს ეფექტიან კონტროლს შეუხამებს. ასეთი კონტროლი გულისხმობს კეთილსასურველი ინვესტიციური გარემოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამძღვრების მიზანმიმართულად შექმნას, რომლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია მოგების გარკვეული დონის მიღების გარანტია, საზღვარგარეთ მისი გადაგზავნის შესაძლებლობა, შემოსავლების განკარგვის თავისუფლება, დაბანდებათა უსაფრთხოების ერთიანი გარანტიების დროსაც შეღავათებისა და პრივილეგიების ოდენობა განსხვავებული შეიძლება იყოს. ამით უცხოურ ინვესტიციებს ჩვენთვის სასურველი მიმართულება ეძლევა.